საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე ,,ქ. თბილისში,ვაკე-საბურთალოს რაიონში, შატბერაშვილის ქ. №5(3)-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი.საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში".

ჩვენს მიერ 2016 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შატბერაშვილის ქ.№5(3)-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შატბერაშვილის ქ.№5(3)-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ,,თბილინვესტპროექტი"-ის გეოლოგიურიჯგუფის მიერ 2016 წლის აპრილში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი ი. ცხომელიძე. კლდოვანი ქანების სიმტკიცის თვისებები გამოკვლეულია საქართველოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

ამრიგად *საექსპერტოდ წარმოდგენილია:*

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე----------*5გვ.*
2. ტექნიკური დავალება----------*1გვ.*
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე შესრულებული სამთო საქმის ინსტიტუტში--*8გვ*
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურრ შედგენილობაზე----------*1გვ.*
5. მოედნის ტოპოგეგმა ----------*1ფურც*
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ----------*3ფურც*
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ----------*2 ფურც.*

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით.

რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 3 შურფი, მათი საერთო სიგრძე 28 მ-ს შეადგენს. შურფებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა –1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა–2– არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა ძლიერ გამოფიტული;
3. ფენა – 1 – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა გამოფიტული.

ანგარიშში გამოკვლეულია ზემოთჩამოთვლილი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. მოცემულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. როგორც ავღნიშნეთ, კლდოვანი ქანების თვისებები გამოკვლეული არის გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

მოედნის ჰიდროგეოლგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მხოლოდ ერთ ჭაბურღილში 2.3 მ. სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. წყალი გამოირჩევა თავისი დაბალი მინერალიზაციით.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შატბერაშვილის ქ. №5(3)-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე/გ. ჭოხონელიძე/